ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის დეკემბრის 1	№ 25 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

**დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.**

მუხ. 190. ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

191. „აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში ფედერატიული უწყებების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების ჩართვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აპრილის 27-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.
192. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისათვის 27 მუხლის შენიშვნის დამატების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

193. 1932 წლისთვის ა/კსფსრ-ში სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.
194. ა/კსფსრ-ში ელექტრომშენებლობის საორგანიზაციო ფორმების შესახებ.
195. ბამბის გაყიდვისა და ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
196. საშენი მასალის მრეწველობის დაგეგმვისა და აღრიცხვის მმართველობის შესახებ.
197. თუთის ნარგავთა დაცვის შესახებ.
198. „სოიუზტრანს“-ის ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.
199. „1932 წელს ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის დაწესებული ერთდროული გადასახადის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული
აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

200. „ფართო მოხმარების საქონლის წარმოების თაობაზე" გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების მსვლელობის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო მრეწველობის ხაზით აღსრულების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა

190. ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

პირველი ხუთწლედის შედეგად ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში მოპოებულია დიდი წარმატებანი: კოლექტიურმა მეურნეობებმა მოიცვეს საგლეხო მეურნეობათა 41%-ი; საბჭოთა მეურნეობების რიცხვმა მიაღწია 300 ერთეულამდე; მოწყობილია 49 სამანქანო-სატრაქტორო სადგური; გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები თვალსაჩინოდ არის გამოყენებული; სატრაქტორო პარკის ძალოვნება 1932 წელს შეადგენს 54.000 HP-დე; ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი გადიდებულია $2^1/_2$-ჯერ ომის წინდროის ფართობთან შედარებით; თვალსაჩინოდ გაფართოებულია სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა, ზონური სადგურებისა, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა, ტექნიკუმებისა და სხვა მისთ. ქსელი; თვალსაჩინო მიღწევებია კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სხვა მისთ. საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

ამასთან ერთად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ სასოფლო მეურნეობის განვითარების თვისებრივ მაჩვენებელთა სისტემატიურ ჩამორჩენას ამ უკანასკნელ წლებში, პირველ ყოვლისა—მოსავლიანობის ჩამორჩენას. იმის გამო, რომ საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანოები (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, საკოლმეურნეო ცენტრები, ტრაქტორცენტრები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები) საკმარის ყურადღებას არ აქცევდნენ მოსავლიანობის საკითხს, უკანასკნელ წლებში ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობაში თვალსაჩინოდ შემცირდა მოსავლიანობა მთელი რიგი ძირითადი კულტურების ხაზით (ბამბისა—აზერბაიჯანის სსრ-ში, თამბაქოს—საქართველოს სსრ-ში, მარცვლეულისა—მთლად ა/კსფსრ-ში).

ვინაიდან ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია და რადგანაც უკვე დადგა დრო, როდესაც მეურნეობის სივრცის გაფართოებიდან საჭიროა მოსავლიანობის გადიდებაზე გადასვლა, რაც სასოფლო მეურნეობის მთავარი და ცენტრა-

ლური ამოცანაა მისი განვითარების დღევანდელ სტადიაში (სსრკ სახ. კ-თა საბჭოს და სრულიად საკავ. კომპარტიის (ბ) ცენ. კ-ტის დადგ.), ა/კსფს სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები 1933 წლისთვის განისაზღვროს შემდეგნაირად ათასი ჰექტარობით:

	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
1. ტექნიკური კულტურები	209,5	36,3	50,8	296,6.
აქედან ბამბა	191,2	25,8	18,0	235,0
„ თამბაქო	3,0	2,5	18,0	23,6
2. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	50,5	18,5	39,3	108,3
2. მარცვლეული კულტ. (საგაზაფ.)	122,0	245,4	518,2	885,6
3. საქონლის საკვები კულტურები .	43,2	26,7	36,9	106,8

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველჰყონ 1933 წ. იანვრის 1-დე საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა;

ბ) დაამთავრონ 1932 წ. დეკემბრის 5-თვის კოლექტიური მეურნეობების 1933 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესადგენად საჭირო სამომზადებლო სამუშაოები—ისე, რომ კოლექტიურ მეურნეობებში გეგმების შედგენა და განხილვა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-სა;

გ) დაამთავრონ 1933 წ. იანვრის 1-თვის ტიპური სარაიონო თესლთბრუნვის გეგმების დამუშავება პირველყოვლისა მებამბეობის, მეთამბაქოობის და მეცხოველეობის რაიონებისათვის; თანაც უზრუნველჰყონ 1933 წ. თებერვლის 1-დე ამ თესლთბრუნვის გეგმების ფართო განხილვა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო თათბირებზე; შეიმუშაონ კონკრეტული თესლთბრუნვა თვითეული საწარმოო ერთეულისათვის და უზრუნველჰყონ მისი განხორციელება ნატურად.

თესლთბრუნვის შემოღების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მარცვლეული და საქონლის საკვები კულტურების გაფართოება, განსაკუთრებით იონჯისა მებამბეობის რაიონებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხებს—მიწათმოქმედების სამუშაოებს, რაც განსახორციელებელია კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით.

3. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ სათესლე ფონდების მოგროვება და შენახვა კოლექტიურ მეურნეობებში და სათესლე სადაზღვეო ფონდებისა კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში თვითეული რესპუბლიკისათვის განსაზღვრული რაოდენობით; უნდა შეიმუშაონ ღონისძიებათა სისტემა, რაც უზრუნველჰყოფს 1933 წლის მოსავლიდან სათესლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სადაზღვეო ფონდების მოგროვებას, სათანადოდ შენახვას და პერიოდულ განახლებას, და აგრეთვე თავის დროზე დაბრუნებას, უკეთუ ამ ფონდებიდან თესლეული ნასესხებია.

4. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ერთი თვის ვადაზე უნდა შეიმუშაონ და წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სასოფლო მეურნეობისათვის გასაწევი სააგრო-საწარმოო მომსახურეობის საალნაგო გეგმა; ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვედა სააგროქსელის განმტკიცება და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება.

5. დაევალოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) დაამთავრონ ერთი თვის ვადაზე სასელექციო სადგურების მოწყობა, უზრუნველჰყონ ეს სადგურები საჭირო მიწის ტერიტორიით და დასაყრდენი პუნქტების ქსელით; აგრეთვე ცალკე უნდა განიხილონ 1933 წლის სამუშაოთა გეგმა სელექციისა, ჯიშთაგამოცდისა და პირველი რეპროდუქციის თესლის წარმოების ხაზით;

ბ) გადასინჯონ ერთი თვის ვადაზე მეთესლეობისა, ჯიშთგამოცდისა და 1933 წლის ჯიშიანი კულტურების თესვის ხაზით მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ქსელი; შეიმუშაონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს კოლექტიურ მეურნეობებში მეთესლეობის განვითარებას; მოაწყონ ყოველგვარი პროდუქციის (საელიტო მასალა, პირველი, მეორე და მესამე რეპროდუქცია) მიღებისა და ხარჯვის აღრიცხვა; შეიმუშაონ ცალკე 1933 წლისთვის ჯიშიანი თესლეულის სახელმწიფო ფონდის ორგანიზაციის გეგმა;

გ) იხმარონ ღონისძიებანი 1933 წელს შემოსაზიდი მინერალური სასუქის კონტიგენტის ცალკეულ ორგანიზაციებზე გასანაწილებლად და უზრუნველჰყონ ხელშეკრულობების დადება სამეურნეო ორგანიზაციებსა და მინერალური სასუქის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთს (ვომუ) შორის შემოსაზიდი მინერალური სასუქის თაობაზე; აგრეთვე უზრუნველჰყონ ამ სასუქის მოხმარების ადგილებზე თავის დროზე მიზიდვა და სასაწყობო სათავსების შენების დამთავრება სასუქის მიღების დაწყების დროისათვის.

6. აღინიშნოს მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის სისტემის აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ბამბის არაკალიისებურ მავნებლებთან და ბალისა და ბოსტნის კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ორგანიზაციის ხაზით და დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ ორი დეკადის ვადაზე ღონისძიებათა სისტემა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის და გაითვალისწინონ სამუშაოთა მოწყობა და მოცულობა, განსახორციელებელ ცალკეულ ღონისძიებათა ეფექტიობა, ურთიერთობა სამეურნეო ორგანოებსა და მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის სისტემას შორის და ხელშეკრულობების თავის დროზე დადების მსვლელობა.

7. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში პირველ ადგილზე გამოყოფილ უნდა იქნეს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ამოცანები; ამ ამოცანებს უნდა დაექვემდებაროს მიმდინარე საწარმოო მუშაობა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა გარდაქმნილ უნდა იქნეს კონკრეტულად იმისდამიხედვით, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადაიქცნენ კოლექტიური მეურნეობების ხელმძღვანელად არა მარტო სატრაქტორო ტექნიკის შეფარდების სფეროში, არამედ აგრეთვე აგრონომიის სფეროშიც. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწ-ბის სახალ. კომ-ტებს და ტრაქტორცენტრებს—შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე იმ ღონისძიებათა სისტემა, რაც უზრუნველჰყოფს როგორც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის თვისების გაუმჯობესებას (მოხვნა, დამუშავება, რემონტი, სათადარიგო ნაწილებით მომარაგება და სხვა მისთ.), ისე რაიონში მათი მუშაობის სათანადო ორგანიზაციულობით მოგვარებას.

8. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მებამბეობის კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე ღონისძიებანი ბამბის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მიღებულ უნდა იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა 1932 წ. შემოდგომაზე შესრულებული იყოს ბამბისათვის ზამთრისპირული ხვნისა და ზამთრის არათის გეგმა შემდეგი რაოდენობით (ათასი ჰექტარობით):

	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
ზამთრისპირული ხვნა	137,5	7,5	8,0	153,0
ზამთრის არათი	96,4	6,0	5,7	108,1

9. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „საქართველოს ჩაი"-ს სააქციო საზოგადოებამ უნდა შეიმუშაონ 1932 წ. დეკემბრის 20-თვის კონკრეტული ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისა, მათი რემონტისა და მოვლისათვის.

10. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, აფხაზეთის ავტ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა შეიმუშაოს 1933 წ. იანვრის 1-თვის კონკრეტული ღონისძიებანი თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის (სასათბურო და სანერგე მეურნეობის მოწყობა, თესლთბრუნვის შემოღება, ქიმიზაცია და სხვა მისთ.).

11. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა:

ა) უნდა შეადგინონ ერთი თვის ვადაზე მეხილეობისა, მევენახეობისა და თუთის ნარგავებისათვის სარაიონო აგრომინიმუმები (აღდგენა, გაახალგაზდავება, გადამყნა, მოვლა, წამლობა და სხვა მისთ.); უნდა უზრუნველჰყონ აგრომინიმუმების მიწვდენა კოლექტიურ მეურნეობამდე და სოფლამდე, ამ აგრომინიმუმების დამუშავება ფართო საწარმოო თათბირებზე და განხორციელება;

ბ) უნდა დაუყოვნებლივ მოაწყონ ყველა ერთწლიანი კულტურისათვის უკვე მიღებული რაიონობითი აგრომინიმუმების გადასინჯვა, შეიტანონ ამ აგრომინიმუმებში ყველა საჭირო დამატება და ცვლილება და ეს დაკავშირებულ უნდა

იქნეს იმ თესლთბრუნვასთან, რაც ამჟამად მუშავდება რაიონებისათვის; მუშაობა უნდა დაამთავრონ არა უგვიანეს 1933 წ. იანვრის 15-ს.

12. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ 1933 წელს მარცვლეული სათესლე მასალის 100-%ით გაწმენდა, მთლად დაავადებული სათესლე მასალის 100% დაწამლვა, მწკრივადი თესვით მაქსიმალურად მოცვა და თესვის წინასამუშაოების აღსრულების თვისების გაუმჯობესება.

13. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა შეიმუშაონ 1933 წ. იანვრის 1-თვის საქონლის საკვებ კულტურათა ფართობების გადიდების რაიონობითი გეგმები (ბალიხის თესვა, სასილოსო ნათესი, საკვები ძირნაყოფა კულტურები) და ღონისძიებანი ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის; თანაც მხედველობაში უნდა იქონიონ საკუთარი სათესლე ბაზისის შექმნის საჭიროება და საძოვრებისა და სათიბების რაციონალურად გამოყენება.

14. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე ღონისძიებათა სისტემა საიონჯო მეთესლეობის საკუთარი ბაზისის მოწყობისა და საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში საიონჯო მეთესლეობის მოწყობისათვის და წარუდგინოს ეს ღონისძიებანი ა/კსფსრ სახალხო-კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

სამეცნიერო-საკვლევ ნაწილის ხაზით:

15. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სას.-სამ. მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ:

ა) ერთი თვის ვადაზე უნდა მოახდინონ აგროტექნიკის საკითხების გამო წარმოებული სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგების სისტემატიზაცია და გამოაქვეყნონ;

ბ) უნდა გადასინჯონ სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების ქსელის მუშაობის პროგრამები და წამოსწიონ პირველ ადგილზე აგროტექნიკის საკითხები (თესლთბრუნვა, სელექცია, ჯიშთგამოცდა და მეთესლობა, გაპატივება, სასოფლო სამეურნეო წარმოების მექანიზაცია, მცირე სარწყავი ქსელის ექსპლოატაცია, წყალსარგებლობა, რწყვის ნორმები და სხვა მისთ.);

გ) უნდა უზრუნველჰყონ სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციები დასაყრდენი პუნქტების საკმარისი ქსელით და დაუკავშირონ ამ პუნქტების მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აგროპერსონალის მეშვეობით;

დ) 1933 წელს წამოსწიონ პირველ ადგილზე სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა, საზონო სადგურებისა და დასაყრდენი პუნქტების მუშაობის თვისების საკითხი, როგორც უაღრესი მნიშვნელობის მქონე პრობლემა.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1933 წელს სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამარცვლეულო საბჭოთა მეურნეობაში მოეწყოს სამარცვლეულო საზონო სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა გაშალონ მასსური სააგიტაციო მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებსა, ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგროტექნიკის შთანერგისათვის, გააშუქონ პერიოდულად რესპუბლიკანურ და რაიონულ პრესსაში მოსავლიანობის გადიდების საკითხები, მოაწყონ საწარმოო თათბირებზე მოსავლიანობის გადიდების საკითხების განხილვა და საამისოდ ფართოდ გამოიყენონ კინო, რადიომაუწყებლობა და დიდი მოსავლის სამეთვალყურეოები.

დაწესებულ იქნეს გარდამავალი დროებით დაჯილდოება რაიონებისა და კოლექტიური მეურნეობების მიერ დიდი მოსავლიანობის მიღწევისათვის. შემუშავებულ და განხორციელებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და საზონო სადგურების გამოყენებისათვის სამეცნიერო მიღწევათა და მათი ეფექტიობის პოპულარიზაციის სფეროში—პოპულარული ბროშურებისა, პლაკატებისა, ფურცლებისა და სხვა მისთ. გამოცემით.

17. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში მასსური ქვედა კადრების მომზადების საქმის დაყენებას, ნამეტნავად მომზადების თვისებას, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ზამთრის თვეები; ორი დეკადის ვადაზე უნდა შეადგინონ ყველა სისტემის შენაერთისა და ორგანიზაციის ხაზით მასსური კადრების მომზადების გეგმა და გაითვალისწინონ ამისათვის საჭირო სახსარი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ასიგნებიდან და აგრეთვე სამეურნეო ორგანოებისა და თვით მოსახლეობის სახსარიდან.

18. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ავალებენ ყველა საბჭოთა, პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციას, რომელიც ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობის სფეროში მუშაობს, გარდაქმნას თავისი მუშაობა მოსავლიანობის გადიდების მიმართულებით, როგორც სასოფლო მეურნეობის განვითარების ცენტრალური ამოცანისათვის დღევანდელ მომენტში.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ ერთი დეკადის ვადაზე ყველა კოლექტიურ მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში და სასოფლო საბჭოში „მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამა დადგენილების დამუშავება, მობილიზებულჰყონ მოსავლიანობისათვის საბრძოლველად კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობათა ფართო მასსები; მიაქციონ, ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ცალკეულ კულტურებსა და ჯიშებს (ეგვიპტური ბამბა, სამსუნის თამბაქო, ყურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერთი ჯიში) და დაუკავშირონ ეს საკითხები მიმდინარე საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის კონკრეტულ ამოცანებს და 1933 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადების სამუშაოებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას" 234 №-ში 1932 წ. ნოემბრის 10.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

191. **„აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში ფედერატიული უწყებების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების ჩართვის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 27-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-2 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. აპრილის 27-ის დადგენილებისა „აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტებში ფედერატიული უწყებების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების ჩართვის შესახებ" მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამასთან დაკავშირებით 1932 წელს გადაეცეს სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების რესპუბლიკანურ ბიუჯეტებს ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ბრუნვის გადასახადიდან სათანადო თანხები, 1-ლ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ორგანოების ხარჯთაღრიცხვე-

ბით დანიშნული თანხების შემცირებით, გარდა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

192. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებისათვის 27 მუხლის შენიშვნის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 19-ის დებულების 27 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე 8 №-ი, მუხ. 697) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ადგილობრივი საბჭოების დადგენილებანი ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად ვადასახადებისა და გამოსაღების დაწესების და გადახდევინების შესახებ (22 და 57 მუხლ.) გამოცემულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა ახალი საგადასახადო წლის დაწყებამდე. ამ დადგენილებებში განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადასახადებისა და გამოსაღების გადახდა კვარტალობით თანაბარ ნაწილებად“.

ამერკავკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1932 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

193. 1932 წლისთვის ა/კსფსრ-ში სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების (ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური) საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების რეალურად შემცირებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა განსაზღვრულ იქნეს ამ მუხლით 1932 წლის იანვრის 1-თვის და 1932 წ. ნოემბრის 1-თვის გაწეული ფაქტიური ხარჯები;

ბ) რათა გამორკვეულ იქნეს ხარჯების შეუთანხმებლობის მიზეზები და, სათანადო ორგანოების ფუნქციებში ამ პერიოდის მანძილზე მომხდარი ცვლილების ანგარიშში მიღებით, განისაზღვროს ის თანხა, რომელშიაც უნდა მოთავსდენ ეს ორგანოები;

გ) რათა ამის შედეგად მიღებული თანხა შემცირებულ იქნეს 20%-ით და იგი დაედვას საფუძვლად უწყებული სახელმწიფო ორგანოს 1933 წლის ბიუჯეტს.

აღნიშნული მუშაობის განხორციელება დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—თანამოსახელე რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატების მონაწილეობით.

ყველა სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანო მოვალეა, საბიუჯეტო ასიგნების თანხის შესაბამისად, გადასინჯოს შტატი და საადმინისტრაციო-სამართველო ხარჯები ისეთი ვარაუდით, რომ სავსებით მოთავსდეს საბიუჯეტო ასიგნებაში.

2. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გადასინჯოს ქსელი ამიერკავკასიის სამეურნეო ორგანიზაციებისა და საერთო-საკავშირო სამეურნეო ორგანიზაციების ფილიალებისა, რომელნიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედობენ, ზედმეტი ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიზნით და შედეგი მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1932 წ. ნოემბრის 1-სა.

3. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გადასინჯოს საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები ამიერკავკასიის ყველა ორგანიზაციისა და საერთო-საკავშირო ორგანიზაციების ფილიალებისა, რომელნიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედობენ, სამუშაო ხელფასის ფონდების მიხედვით და არა საშტატო ერთეულების მიხედვით.

შედეგი მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1922 წ. დეკემბრის 1-სა.

4. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციას ხარჯების გადამეტება ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ (მუხ. 3).

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს—ჩაატარონ ანალოგიური მუშაობა რესპუბლიკანური სამეურნეო ორგანიზაციების მიმართ.

6. საერთო მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შაგერდოვი.**

1932 წ. ოქტომბრის 8.
№ 496.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

19. ა/კსფსრ-ში ელექტრომშენებლობის საორგანიზაციო ფორმებ-ს შესახებ.

ა/კსფსრ-ში ელექტრომშენებლობისათვის გასაწევი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა, მომარაგებისა და ქარხნებისათვის გაწყობილობის შეკვეთის საკითხებში გაუპიროვნების აღმოფხვრისა და ელექტრომშენებლობის ორგანიზაციის საქმეში ზედმეტი ინსტანციების თავიდან აცილების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში საკავშირო მნიშვნელობის მქონე სარაიონო ელექტრომშენებლობანი მოწყობილ იქნენ დამოუკიდებელი სამშენებლო სამმართველოების სახით, რომელნიც უშუალოდ შევლენ „გლავენერგო"-ს სისტემაში და მას დაექვემდებარებიან.

საერთო მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა ამ მშენებლობათა მსვლელობისათვის დაეტოვოს „ზაკენერგო"-ს.

2. ფედერატიული მნიშვნელობის მქონე სარაიონო ელექტრომშენებლობანი, რომელთა დანადგამების მაქსიმალური ძალოვნება 3.000 კილოვ. და მეტი იქნება, მოწყობილ იქნენ დამოუკიდებელი სამშენებლო სამმართველოების სახით და უშუალოდ დაექვემდებარნენ „ზაკენერგო"-ს.

3. ა/კსფსრ ბიუჯეტში მოთავსებული ობიექტების მშენებლობანი, რომელთა მაქსიმალური ძალოვნებაც 3.000 კილოვ. ნაკლებია, განახორციელონ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების (აზერბ. სსრ-ში, საქ. სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში) სამშენებლო ორგანოებმა.

4. საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის მქონე ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა განახორციელონ, სამუშაოების მოცულობის მიხედვით, ან მშენებლობის განსაკუთრებულმა სამმართველოებმა ან სათანადო ელექტროსადგურებმა.

ამ მშენებლობათა ქვემდებარეობა შენარჩუნებულ იქნეს იმგვარადვე, როგორც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ, მე-2 და 3 მუხლებში.

5. ჰიდროელექტროსადგურების მშენებელი ამიერკავკასიის ტრესტი „ზაკჰიდროელექტროსტროი“ ლიკვიდირებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ზავერდოვი.**

1932 წ. ოქტომბის 23.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა სებჭოსი.

195. ბამბის გაყიდვასა და ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ბამბის დამზადების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა და მტკიცე დავალებათა 100 პროცენტით შესრულებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. აიკრძალოს: ა) ბამბის ჩამბარებლების მიერ ბამბის გაყიდვა და აგრეთვე ბამბის გამოზიდვა რკინის გზით, წყალსავალი გზით, საზიდავსავალი გზით და ფოსტით დანამზად ნაკეთობათა სახით (ქვეშაგები, საბანი, ბალიში და სხვ.);

ბ) ბამბის შესყიდვა და კერძო ჯინებზე გადამუშავება;

გ) შრომის სასყიდლის ნატურად (ბამბით) გადახდა ბამბის მოკრეფისათვის კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი ამა დადგენილების განხორციელებისათვის, კერძოდ—დაავალონ სასოფლო საბჭოებთან მოწყობილ მოსავლის აღებისა და რეალიზაციის ხელისშემწყობ კომისიებს,—დაამყარონ კონტროლი იმისათვის, რომ ბამბის ჩამბარებლებმა თავიანთი ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულებანი სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების საქმეში ფაქტიურად შეასრულონ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. ოქტომბრის 31.
497.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 253 №-ში 1933 წ. დეკემბრის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

196. საშენი მასალის მრეწველობის დაგეგმვისა და აღრიცხვის მმართველობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის (აღმასკომის) საშენი მასალის წარმოების მრეწველობა, თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეორგანიზაციის შესახებ", მოთავსებულ იქნეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მმართველობის სისტემაში და ამ მრეწველობის უშუალო გამგებლობა თავმოყრილ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებში, იმ საწარმოთა გარდა, რომელნიც აწარმოებენ დამხმარე ხასიათის საშენ მასალას, მომსახურეობას უწევენ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შეტანილი რაიონების კომუნალურ მეურნეობას და იმათ გარდა, რომელთაც უშუალოდ განაგებენ საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი.

კომუნალური მეურნეობის სისტემაში გამოყოფილ დამხმარე საწარმოთა სია დადგენილ იქნეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (რესპუბლიკებში) და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთა შეთანხმებით და ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დამტკიცებით.

2. ა/კსფსრ საშენი მასალის მრეწველობის ერთიანი დაგეგმვისა და აღრიცხვის მიზნით დაეკისროს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) ორგანოებს ყველა საშენი მასალის წარმოების საერთო დაგეგმვა და მიმდინარე აღრიცხვა, ამ მასალის ქვემდებარეობის მიუხედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოსთან, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ამა დადგენილების განხორციელებისათვის ერთი დეკადის ვადაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 1.
№ 499.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

197. თუთის ნარგავთა დაცვის შესახებ.

მეაბრეშუმეობის საკვები ფონდის დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო—„მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 9-ის დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად—ადგენს:

1. აიკრძალოს ყოველგვარი თუთის ნარგავის (მაღალტანიანი, თოხმაჩი, ბუჩქნარი და სანერგეები) მოჭრა, ამოძირკვა, საქონლის მიშვებით წახდენა და ბოროტი განზრახვით გასხლვა როგორც კოლექტიური მეურნეობების და ინდივიდუალური მეურნეობების სარგებლობაში მყოფ მიწებზე, ისე სახელმწიფო ფონდის მიწებზე, გარდა ამა დადგენილების მე.2 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თუთის ნარგავთა შეთხელება და მოჭრა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა გზების სწორედ გასაყვანად, სარწყავი არხების გასათხრელად, სამშენებლო ადგილების გასაწმენდად და მექანიზირებული დამუშავებისათვის (სატრაქტორო) ტერიტორიის მოსაწყობად, თანაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში სარაიონო საადგილმამულო განყოფილების ნებართვით და აუცილებლად მოჭრილი ნარგავების ნაცვლად ახალი ნარგავების ჩაყრით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ ადგილობრივ ორგანოებს—სასტიკად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების აღსრულებას და დაადონ საადმინისტრაციო წესით გადასახდელი მის დარღვევაში დამნაშავეთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაამყარონ წესი თუთის ფურცლის გამოყენებისა სახელმწიფო ფონდის მიწებზე აღმოცენილ ნარგავებში, კერძოდ—სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში;

გ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ აგრომინიმუმი თუთის გაშენებისათვის და უზრუნველჰყონ მისი განხორციელება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
№ 500.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

198. „სოიუზტრანს"-ის ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კატეგორიულად აიკრძალოს „სოიუზტრანს"-ის ორგანოების კუთვნილი მარცვლეული ფურაჟისა და მოცულობითი ფურაჟის (თივა, ჩალა) რაიმე ჩამორთმევა, იმისდადამოუკიდებლად, თუ რომელი წყაროთია იგი მიღებული (თივის დამზადება, ნათესი, სათიბი და ცენტრალიზებული ფონდები).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება და დაავალონ პროკურატურის ორგანოებს—სასტიკ პასუხისგებაში აძლიონ „სოიუზტრანს"-ის ორგანოების კუთვნილი ფურაჟის ჩამორთმევაში დამნაშავე პირნი, ჩამორთმევის საბაბის მიუხედავად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1932 წ. ნოემბრის 21.
№ 501.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

199. „1932 წელს ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის დაწესებული ერთდროული გადასახადის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების ა/კსფსრ-ში ჩატარების შესახებ.

„1932 წელს ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის დაწესებული ერთდროული გადასახადის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1932 წელს ერთდროული გადასახადით, კოლმეურნეთა და ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლში დასახელებულ სხვა მეურნეობათა გამოკლებით, იბეგრება ყველა ინდივიდუალური მეურნე, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა და ცხოვრობს ა/კსფსრ-ში სოფლად, სააგარაკო ადგილას და ქალაქ-ადგილას და რომელიც 1932 წელს იხდის სასოფლო სამეურნეო გადასახადს.

2. ერთდროული გადასახადი გადაიხდევინება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წ. ნოემბრის 19-ის, დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ.

3. განაკვეთთა საბოლოო რაოდენობას ზემოდ დასახელებული დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ ფარგლებში რაიონებისათვის აწესებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. ისეთი ადგილისათვის, რომელსაც აქვს განსაკუთრებით დიდი ფულადი შემოსავალი, განაკვეთთა რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს ამ ფარგლების გარეშეც, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე 50%-ით.

4. ერთდროული გადასახადის გასტუმრების ვადებს აწესებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ისეთი ვარაუდით, რომ ერთდროული გადასახადის მთელი თანხა შემოვიდეს არა უგვიანეს 1932 წ. დეკემბრის 31-სა.

5. შემოსული გადასახადი მიიქცევა საერთო საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტში 75% ის რაოდენობით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტში—10%-ის რაოდენობით და სარაიონო ბიუჯეტებში—15%-ის რაოდენობით.

6. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ორი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ნოემბრის 23.
№ 503.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

200. „ფართო მოხმარების საქონლის წარმოების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო მრეწველობის ხაზით აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ესაიანის მოხსენება და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. შახსუვარიანის თანამოხსენება—„ფართო მოხმარების საქონლის წარმოების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო მრეწველობის ხაზით აღსრულების მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. თუმცა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების საქმეს ემჩნევა რაღაც ინდ წინსვლის მოძრაობა, მაინც მუშაობა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ გამოცემული პარტიისა და მთავრობის დირექტივის შესრულებისათვის საფეიქრო მრეწველობის ხაზით მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის არასაკმარისი ხელმძღვანელობის გამო. საფეიქრო მრეწველობის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დამატებითი გეგმები გადაეცა ფაბრიკებს დიდის დაგვიანებით: საქართველოს საფეიქრო ტრესტს—აგვისტოს 20-ს და ლენინაკანის სართავ-საქსოვ ფაბრიკას—1932 წ. ივლისის დასაწყისში.

2. ამის გამო საკამეოლო-სამაუდე ფაბრიკა ტფილისში დღემდე არ შესდგომია ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას, ხოლო სატრიკოტაჟო ფაბრიკამ ტფილისში გეგმა საგრძნობლად არ შეასრულა. მოწყობილი არ არის უტილსაამქროები. საქონელგამტარებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი დადებული არ არის. ძირითადი საამქროების ნარჩენები საკმარისად გამოყენებული არ არის ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში.

3. აღინიშნოს ლენინაკანის სართავ-საქსოვი ფაბრიკის დამოუკიდებელი ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის შედგენისა და მოწყობის საქმეში.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ესაიანს)—გააძლიეროს ხელმძღვანელობის გაწევა საფეიქრო მრეწველობის ფაბრიკებისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოწყობისა და განვითარების საქმეში.

2. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ესაიანის განცხადება, რომ მას უკვე უხმარია ღონისძიებანი ტფილისის საკამვოლო-სამაუდე ფაბრიკის ხაზით ოქტომბრის ბოლოს 30.000 მეტრი საშინელო მაუდის გამოსაშვებად, მე-IV კვარტალის ბოლოს—12 ტონნა სასარჩულე მატყლ-ბამბეულისა ნარჩენებისაგან, კეპების წარმოების მოსაწყობად, საბამბეულო ნართის შულოებისა ნარჩენებისაგან და ფაბრიკაში ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის პასუხისმგებელი მომუშავის გამოსაყოფად;

ლენინაკანის სართავ-საქსოვი ფაბრიკის ხაზით—ფაბრიკის უტილსაამქროს მუშაობის შემდგომში განსამტკიცებლად და სასაქონლო ტომრებისა, მაქოების რგოლებისა და ბუნიკების გამოსაყენებლად—„კარდოლენტი"-ს ტრესტისათვის გადაცემით;

სიტრიკოტაჟო ფაბრიკების ხაზით—უტილსაამქროების მოსაწყობად, საჩულქე-სატრიკოტაჟო ნაკეთობის საწარმოებლად ნარჩენებისაგან, ფაბრიკების დაუმთავრებელი პროდუქციის სარეწაო არტელებისათვის გადასაცემად ხელშეკრულებების კვალობაზე, ფაბრიკების მიერ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესაფარდებლად იმ ნარჩენებთან, რაც ამ ფაბრიკებს აქვთ, წარმოების გადიდების მიზნით, ნამეტნავავად საბავშვო ტანსაცმლის წარმოებისა, და საქონელგამტარებელ ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულებების დასადებად.

3. მიენდოს ამხ. ესაიანს მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ნარჩენებისა, ნაყარისა და სხვ. მისთ. გამოყენების თაობაზე გამოცემული დირექტივების შესრულების შესამოწმებელი თვიურის შედეგები.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

მთავლიტი № 491. საქ. სახკომსაბოს სტამბა. შეკვ. № 720. ტირაჟი 1.400.